

➤ **პროგრამის სახელწოდება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

➤ **პროგრამის განხორციელების ენა**

ქართული

➤ **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**

საშუალო - საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლე იღებს ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს. საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.

➤ **განათლების დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის/სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგები – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 1, პუნქტი 5)

➤ **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი**

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლა, ქ. საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. #1

I. დეტალური ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

➤ **პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით**

საშუალო საფეხურის ფარგლებში საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულ თემებსა და შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება ქვემოთ მოცემული სამიზნე ცნებები, რაც ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინფორმაცია თითოეული საგნის, კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ იხ. სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივი კურიკულუმების გეგმებში.

საგნობრივი ჯგუფი - ქართული ენა და ლიტ-ა

საგანი - ქართული ენა და ლიტ-ა X, XI, XII-კლასები

ქართ.საშ.1	<p>ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის.</p>	<p>ჟანრი (ქართ.საშ.1,4,6,7)</p>
ქართ.საშ.2	<p>ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციოსტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში.</p>	<p>კომპოზიცია (ქართ.საშ.1,3,4,6,7)</p>
ქართ.საშ.3	<p>საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით.</p>	<p>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ქართ.საშ.4,6,7)</p>
ქართ.საშ.4	<p>ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად.</p>	
ქართ.საშ.5	<p>ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების ჭრილში შესაფასებლად.</p>	<p>კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)</p>
ქართ. საშ.6	<p>სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად).</p>	
ქართ.საშ.7	<p>ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას).</p>	

საგნობრივი ჯგუფი - მათემატიკა

საგანი - მათემატიკა X, XI, XII-კლასები

მათ.საშ.1.	რეალურ ცხოვრებაში სხვადასხვა საკვლევი, სამეცნიერო საკითხისა თუ ყოფითი მოვლენის განხილვისას სიდიდეების წარმოდგენა შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლებით; რაოდენობის ჩაწერა; სიდიდეებსა და მათ ერთეულებს შორის თანაფარდობის გამოთვლა; რიცხვების, რიცხვითი გამოსახულებებისა და სიდიდეების წარმოდგენა ეკვივალენტური ფორმით; მათემატიკური მეთოდების ან/და ტექნოლოგიების საშუალებით ზუსტი ან მიახლოებითი გამოთვლების შესრულება; ფარდობითი ცდომილების გარკვევა; მიახლოებით გამოთვლათა და შეფასებათა ხერხების გამოყენება.	სიდიდეები, რიცხვები, მათი თვისებები, რიცხვითი გამოთვლები
მათ.საშ.2.	უცნობი რაოდენობის, ცვლადი სიდიდის წარმოდგენა; რიცხვებზე ოპერაციების თვისებების განზოგადება; ალგებრულ გამოსახულებათა ფორმებს შორის კავშირის დამყარება; ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენის მათემატიკური მოდელირება და წარმოდგენა ცვლადის, ალგებრული გამოსახულების, განტოლების ან უტოლობის საშუალებით და პრობლემის გადაჭრა; მათემატიკური სამუშაოს შესრულებისას ტექნოლოგიების გამოყენება.	ალგებრული გამოსახულება, განტოლება, უტოლობა, სისტემა
მათ.საშ.3.	შესასწავლი მოვლენიდან გამომდინარე ცვლად თუ მუდმივ სიდიდეთა შორის შესაბამისობის, ფუნქციური კავშირის დამყარება და წარმოდგენა შესაბამისი ერთი ან რამდენიმე ფორმით; ფუნქციის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში ცვლილებათა გასაანალიზებლად და რეალური მოვლენების მოდელირებისთვის.	შესაბამისობა, გრაფიკი, ფუნქცია დამოკიდებულება (სიდიდეებს შორის დამოკიდებულება)
მათ.საშ.4.	რეალურ ცხოვრებაში გეომეტრიული ფორმების ამოცნობა, აღწერა, კლასიფიკაცია; გეომეტრიული ობიექტების განსაზღვრებათა და თვისებათა სწორად ჩამოყალიბება; გეომეტრიული ობიექტის ზომის (სიგრძე, ფართობი, მოცულობა) გამოთვლა;	გეომეტრიული ობიექტები, ზომები
მათ.საშ.5.	გეომეტრიული ობიექტების ადგილმდებარეობის გარკვევა სიბრტყეზე და სივრცეში (კოორდინატების გამოყენებით); გეომეტრიული გარდაქმნების საშუალებით რეალური სიტუაციების ანალიზი და ტექნოლოგიების საშუალებით სიტუაციის მოდელირება (მაგ.: გარდაქმნები ბუნებრივ მოვლენებში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში და სხვა).	ანალიზური გეომეტრია, გეომეტრიული გარდაქმნები
მათ.საშ.6.	საკვლევი თემის განსაზღვრა, კვლევის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება, მოწესრიგება, დამუშავება/ანალიზი, წარმოდგენა და შემოწმება (სხვადასხვა მოდელის გამოყენებით);	მონაცემები
მათ.საშ.7.	რეალურ მოვლენაზე დაკვირვების შედეგად, ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებით ხდომილობის სტატისტიკური აღბათობის და თეორიული (მათ შორის გეომეტრიული) აღბათობის შეფასება და ამ გზით პროცესების შედეგების პროგნოზირება.	ხდომილობის აღბათობა
მათ.საშ.8.	სიმრავლეთა თეორიაზე დაყრდნობით, ლოგიკური მსჯელობითა და დასაბუთებით, ამოცანის ფორმულირება ან/და პრობლემის გადაჭრა.	სიმრავლე
მათ.საშ.9.	პრობლემის გადაჭრისას გამონათქვამებისა და მათზე ოპერაციების გამოყენებით, დებულების დასაბუთების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ფლობით ლოგიკური დასკვნების გამოტანა.	ლოგიკური ოპერაციები; გამონათქვამი

საგნობრივი ჯგუფი - უცხოური ენები

საგანი - ინგლისური ენა X, XI, XII-კლასები

Iუცხ.საშ.1.		ჟანრი (Iუცხ.საშ.1,2,3,5,6)
Iუცხ.საშ.2.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.	სამეტყველო ქმედება (Iუცხ.საშ.2,3,4,5,6) ენობრივი საშუალებები (Iუცხ.საშ.1,2,3,4,5,6) კულტურათა დიალოგი (Iუცხ.საშ.6)
Iუცხ.საშ.3.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით ზეპირი მეტყველება/ლაპარაკი კომუნიკაციის დასამყარებლად განსხვავებულ ფიზიკურ თუ ვირტუალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში.	
Iუცხ.საშ.4.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით წერიტი მეტყველება/წერა კომუნიკაციის დამყარების მიზნით განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, ტრადიციულ თუ ელექტრონულ ფორმატში.	
Iუცხ.საშ.5	უცხოურენოვანი სხვადასხვა ჟანრის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების შინაარსი ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებულ პირთათვის (მაგ., თანაგუნდელისთვის, უცხოელი თანატოლისთვის) თარგმნის, თარჯიმნობის, შეჯამებისა თუ ინტერპრეტირების გზით.	
Iუცხ.საშ.6.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ინტერაქციის წარმართვა ან სხვების ინტერაქციაში ჩართვა ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე ინფორმაციის გასაცვლელად.	

საგანი - მეორე უცხო ენა X XI XII კლასი

IIუცხ.საშ.1.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით სხვადასხვა ჟანრის ავტენტური ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება კრიტიკულად გაანალიზებისთვის.	ჟანრი (IIუცხ.საშ.1,2,3,4,5,6)
IIუცხ.საშ.2.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით ზეპირი მეტყველება/ ლაპარაკი კომუნიკაციის დასამყარებლად განსხვავებულ ფიზიკურ თუ ვირტუალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში.	სამეტყველო ქმედება (IIუცხ.საშ.2,3,4,5,6)
IIუცხ.საშ.3.	ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ჟანრული მახასიათებლების ცოდნისა და სტრატეგიების გამოყენებით წერიტი მეტყველება/წერა კომუნიკაციის დამყარების მიზნით განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, ტრადიციულ თუ ელექტრონულ ფორმატში.	ენობრივი

IIუცხ.საშ.4.	უცხოურენოვანი სხვადასხვა ჟანრის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების შინაარსი ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებულ პირთათვის (მაგ., თანაგუნდელისთვის, უცხოელი თანატოლისთვის) თარგმნის, თარჯიმნობის, შეჯამებისა თუ ინტერპრეტირების გზით.	საშუალებები (IIუცხ.საშ.1,2,3,4,5,6) კულტურათა დიალოგი (IIუცხ.საშ.6)
IIუცხ.საშ.5.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ინტერაქციის წარმართვა ან სხვების ინტერაქციაში ჩართვა ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე ინფორმაციის გასაცვლელად.	
IIუცხ.საშ.6.	სხვადასხვა ქვეყნის სოციოკულტურულ კონტექსტებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გაგება, დაფასება და გაზიარება განსხვავებულ ენობრივ-კულტურულ თემებს შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით .	

საგნობრივი ჯგუფი - საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგანი - ისტორია X, XI, XII-კლასები

ისტ.საშ.1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) ძალაუფლება (ისტ.საშ.3,4,5,6,7)
ისტ.საშ.2	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.3	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	
ისტ.საშ.4	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად;	
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალთ, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე	

	მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად;	8)
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან.	ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)

საგანი- საქართველოს ისტორია

შედეგების ინდექსი	შედეგები	სამიზნე ცნებები
ისტ.საშ.1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5) დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)
ისტ.საშ.2	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ.საშ.1,2,3,4,5, 6)
ისტ.საშ.3	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	საზოგადოება (ისტ.საშ.1,2,3,4,5, 6)
ისტ.საშ.4	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად;	ძალაუფლება (ისტ.საშ.3,4,5,6,7, 8)
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალთ, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების	

	გასააზრებლად;	
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან.	ისტორიული მოვლენა/ პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)

საგანი--გეოგრაფია X XI XII კლასები

გეო.საშ.1.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1,2,3,4,)
გეო.საშ.2.	ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3,4)
გეო.საშ.3.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	
გეო.საშ.4	მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	მდგრადი განვითარება (შედეგები 1,2,3,4,)

საგანი- მოქალაქეობა X, XI, XII-კლასები

<p>მოქ.საშ.1.</p>	<p>გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი ქმედებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) გათვალისწინება;</p>	<p>საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)</p>
<p>მოქ.საშ.2.</p>	<p>საზოგადოებისთვის აქტუალური გლობალური და ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;</p>	<p>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)</p>
<p>მოქ.საშ.3.</p>	<p>მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრებით მოქმედება (მათ შორის, ყოველდღიურ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);</p>	<p>(მოქ.საშ.1,2,3,4)</p>
<p>მოქ.საშ.4.</p>	<p>საზოგადოებაში პოზიტიურ ცვლილებებზე ორიენტირებული იდეების ლობირება და ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.</p>	<p>სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)</p> <p>მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)</p>

პროექტი სამოქალაქო განათლებაში

<p>სამოქალაქო განათლების სავალდებულო პროექტების სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე</p>		
<p>შედეგების ინდექსი</p>	<p>მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია</p>	<p>სამიზნე ცნებები</p>
	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p>	
<p>მოქ.პროექტი.1.</p>	<p>გადაწყვეტილებების მიღებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) შინაარსის გათვალისწინება;</p>	<p>საზოგადოება (მოქ.პროექტი.1,2)</p> <p>დემოკრატია</p>

მოქ.პროექტი.2.	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;	(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)
მოქ.პროექტი.3.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება (მათ შორის, ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);	(მოქ.პროექტი.1,2,3,4) სამოქალაქო მონაწილეობა
მოქ.პროექტი.4.	ცალკეული იდეების ლობირება, ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.	(მოქ.პროექტი.2,4) მდგრადი განვითარება (მოქ.პროექტი.3)

საგნობრივი ჯგუფი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საგანი - ქიმია X ,XI .XIIკლასი

ქიმ.საშ.1.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენება ნივთიერების ქიმიური თვისებებისა და გარდაქმნების დასახასიათებლად;	ნივთიერება - (ქიმ.საშ.1,2,3,4)
ქიმ.საშ.2.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენება ნივთიერებების შედგენილობაში შემავალ ატომებსა და ატომთა ჯგუფებს შორის არსებული ქიმიური ბმების შესასწავლად და მათი მნიშვნელობის გასააზრებლად;	ქიმიური ბმა - (ქიმ.საშ.1,2,3,4) ფიზიკური და ქიმიური მოვლენები
ქიმ.საშ.3.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენება ფიზიკური და ქიმიური მოვლენების, მათი მიზეზებისა და შედეგების დასადგენად;	მოვლენები (ქიმ.საშ.1,2,3,4)
ქიმ.საშ.4	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენება ბუნებაში მიმდინარე ქიმიური მოვლენების/პროცესების აღსაწერად და არსის აღსაქმელად.	

საგანი-ფიზიკა -X ,XI .XIIკლასი

ფიზ.საშ.1.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ნივთიერებების შემადგენელი სტრუქტურის	მატერია
-------------------	---	----------------

	დახასიათება და ველების მახასიათებელი პარამეტრების შესახებ მსჯელობა მატერიის სახეების ფიზიკური თვისებებისა და მათი ცვლილების მიზეზების გასააზრებლად;	(ფიზ.საშ.1,2,3,4) ენერგია (ფიზ.საშ.1,2,3,4)
ფიზ.საშ.2.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ენერგიის სახეებზე და მათი ურთიერთგარდაქმნის მიზეზებზე/შედეგებზე მსჯელობა ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური მოვლენების დასახასიათებლად;	ძალა (ფიზ.საშ.1,2,3,4)
ფიზ.საშ.3.	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სხეულთა ურთიერთქმედებებსა და მათ შედეგებზე მსჯელობა ბუნებაში მიმდინარე პროცესების აღსაწერად;	ფიზიკური პროცესი (ფიზ.საშ.1,2,3,4)
ფიზ.საშ.4	მეცნიერული მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ბუნებაში არსებული მიზეზ - შედეგობრივი კავშირების დასაბუთება ფიზიკური პროცესების/ მოვლენების აღსაწერად და დასახასიათებლად.	

საგანი -ბიოლოგია - X ,XI .XIIკლასი

ბიოლ.საშ.1.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის აღწერა შედარებითი დახასიათებისათვის.	სტრუქტურა, ფუნქცია (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.2.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით სიცოცხლის ორგანიზაციის სხვადასხვა დონის ცოცხალი სისტემის თვისებების აღწერა შედარებითი დახასიათებისათვის.	სასიცოცხლო თვისება (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.3.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ცოცხალ სისტემებში ენერგიის გარდაქმნისა და ნივთიერებების მიმოცვლის აღწერა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად.	ბიომრავალფეროვნება (ბიოლ.საშ.1.2,3,4,5)
ბიოლ.საშ.4.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ბიომრავალფეროვნების წარმოქმნის კანონზომიერებების ახსნა, გარემოს დაცვის კუთხით მისი შენარჩუნების მნიშვნელობის გასაანალიზებლად.	ჯანმრთელობა და დაავადება (ბიოლ.საშ.1.2,3,5)
ბიოლ.საშ.5.	მეცნიერების მიღწევებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გასააზრებლად.	

საგნობრივი ჯგუფი - სპორტი

საგანი - ფიზიკური აღზრდა და სპორტი X XI XII კლასი

ფ.ა.სპ.საშ.1.	ფიზიკურ აქტივობებში (როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალების) რეგულარული ჩართულობით ფიზიკური თვისებების განვითარება;	ფიზიკური თვისებები (ფ.ა.სპ.საშ.1,2,3,4)
ფ.ა.სპ.საშ.2.	სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობების საშუალებით ორგანიზებულობის განმტკიცება;	ჯანსაღი ცხოვრების წესი
ფ.ა.სპ.საშ.3.	სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში თვითკონტროლის მექანიზმების განმტკიცება;	(ფ.ა.სპ.საშ.1,2,3,4)
ფ.ა.სპ.საშ.4.	რეგულარული ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობით ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა/გამოყენება.	ორგანიზებულობა და თვითკონტროლი (ფ.ა.სპ.საშ.1,2,3,4)

საგნობრივი ჯგუფი-ესთეტიკური აღზრდა

პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტების სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსები	შედეგები	სამიზნე ცნებები
ს.გ.საშ.1.	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>დასახული ამოცანის შესაბამისად განსაზღვროს იდეა, შეარჩიოს შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მიზნობრივად და შემოქმედებითად გამოიყენოს საკუთარი ცოდნა (ხელოვნების ენა, მასალა, ტექნიკა, დარგი,</p>	<p>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)</p> <p>სახვითი ხელოვნების ტექნიკა</p>

	<p>ჟანრი, კონკრეტული ხელოვნების ნიმუშის, სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების ანალიზი, ინტერპრეტაცია, შეფასება და სხვ.) საზოგადოების თუ პირად ცხოვრებაში ხელოვნების მნიშვნელობის წარმოსაჩენად.</p>	<p>სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები</p> <p>სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები</p>
--	---	--

პროექტი მუსიკაში

<p>მუსიკის სავალდებულო პროექტების სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე</p>		
<p>შედეგების ინდექსები</p>	<p>შედეგები</p>	<p>სამიზნე ცნებები</p>
	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p>	<p>ბგერა (მუს.საშ.1,2,3)</p>
<p>მუს.საშ.1.</p>	<p>მუსიკალური ენის ელემენტებსა (რიტმი, მელოდია ჰარმონია და სხვ.) და სამყაროზე წარმოდგენებს შორის ურთიერთკავშირების დადგენა; ამ ელემენტების გამოყენება სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებაში მუსიკის როლის წარმოსაჩენად;</p>	<p>რიტმი (მუს.საშ.1,2,3)</p>
<p>მუს.საშ.2.</p>	<p>მუსიკის გამომსახველობით ხერხებზე სხვადასხვა ეპოქის ესტეტიკური შეხედულებების ზეგავლენების განსაზღვრა და ამ გამომსახველობითი ხერხების გამოყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსიკის როლის წარმოსაჩენად;</p>	<p>მელოდია (მუს.საშ.1,2,3)</p> <p>ჰარმონია (მუს.საშ.1,2,3)</p>
<p>მუს.საშ.3.</p>	<p>მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ზემოქმედების გააზრება ადამიანის სულიერ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში მუსიკის როლის წარმოსაჩენად.</p>	<p>ფორმა (მუს.საშ.1,2,3)</p> <p>ჟანრი (მუს.საშ.1,2,3)</p>

➤ საათობრივი ბადე

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ კლასის და საფეხურის დაძლევა

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა

➤ სწავლა-სწავლების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- სიღრმისეული სწავლა;

სიღრმისეული სწავლის პრინციპები გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში:

- შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), პირველ რიგში, მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებას უყობს ხელს და თითოეულ მოსწავლეს საკუთარი ემოციური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების რეალიზების საშუალებას აძლევს, რასაც მოსწავლისთვის სიამოვნების, კმაყოფილებისა და სიამაყის განცდა მოაქვს და რაც ამაღლებს მის მოტივაციას.
- საგნობრივი კურიკულუმები კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე არის აგებული, კერძოდ, მოსწავლე მიწოდებულ ინფორმაციის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ამუშავებს. ეს ჩანს თემაში - რომელიც გულისხმობს ნაცნობ კონტექსტებს და იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას; შუალედური მიზნის დავალებები (საშინაო დავალებები), რომელიც არის კომპლექსური ტიპის და რომელიც ახლოს დგას მოსწავლის გამოცდილების სფეროსთან და თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ნაცნობ კონტექსტებში მოახდინოს ახალი ცოდნის ტრანსფერი. შუალედური მიზნის დავალებებში მუშავდება სამიზნე ცნებები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს კონკრეტული ცოდნიდან წაიყვანოს ზოგადისკენ.
- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის 3 კატეგორიის გააქტიურებას უწყობს ხელს, კერძოდ, საკლასო დავალებები ძირითადად ორიენტირებულია დეკლარატიულ ცოდნაზე, შემაჯამებელი დავალებები - პროცედურულზე, ხოლო საშინაო

დავალეები - პირობისეული ცოდნის გააქტიურებაზე. აღნიშნული დავალეები ხელს უწყობს მოსწავლეს, სამივე კითხვას : რა?როგორ?რატომ? გასცეს პასუხი.

- საგნობრივი კურიკულუმები ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას უწყობს ხელს, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირება, რომელიც იძლევა საგანთა შორის კავშირების დამყარების საშუალებას და შუალედური მიზნის დავალეები - რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას.
- საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, მათში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შუალედური მიზნის დავალეებში ჩაშენებული შეკითხვები (მაგ, რა სტრატეგიები გამოვიყენო დავალეების შესასრულებლად? რა ნაბიჯები გადავდგა? რა ცოდნა და გამოცდილება დამჭირდება დავალეების შესასრულებლად?) საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაფიქრდნენ სწავლის პროცესზე. ხოლო დავალეების პრეზენტაციების დროს კი მოსწავლემ უნდა უპასუხოს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რა სტრატეგიები გამოვიყენე? რას გავაკეთებდი განსხვავებულად თავიდან რომ ვიწყებდე დავალეების შესრულებას?...
- სასკოლო შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების აქტიურად გამოყენება, არჩევანის თავისუფლება და კურიკულუმების მოქნილობა, ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში.
- პოზიტიური სასწავლო გარემო;
საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული წლის ანალიზზე დაყრდნობით, შესაბამისად, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთ ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები, რაც საჭიროა პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული სტრატეგიები, აქტივობები, დავალეები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, საშუალებას აძლევს მოსწავლეს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები; შუალედური მიზნის დავალეები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, იფიქრონ გლობალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

პოზიტიური გარემოს შექმნას სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებული **დიფერენცირებული სწავლების** მიდგომებიც უწყობს ხელს. კერძოდ, მათში გათვალისწინებულია:

- მასალის დიფერენცირება (მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტ-ში ტექსტების შინაარსის დიფერენცირება: გამარტივება ან/და სხვა ტექსტის შეთავაზება; მათემატიკაში - ამოცანის პირობის ან სხვა ვარიანტის შეთავაზება და ა.შ.. ასევე ინგლისურ ენაში ენის ცოდნის დონის მიხედვით კლასების დიფერენცირება, რაც თავისთავად მოიაზრებს როგორც მასალი, ისე პროცესის და დავალეების დიფერენცირებას.

- სასწავლო პროცესის დიფერენცირება (მაგალითად, მასწავლებლები იყენებენ სტრატეგიას „გაჩერებებით სწავლება“, სასწავლო მენიუ, პროექტი და სხვ.
- დავალების დიფერენცირებას (მაგ, შუალედური მიზნის დავალებაში პროდუქტის შექმნის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობენ მოსწავლე: ელექტრონულად , მაკეტის სახით, კომიქსის და ა.შ.
- გარემოს დიფერენცირებას (მაგ, წყვილებში, ჯგუფებში, ინდ. მუშაობა, ასევე სხვადასხვა სივრცეების გამოყენება: ეზო, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია...

დიფერენცირების სწორად წარმართვაში მასწავლებლებს ეხმარება დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასებები, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

- ინკლუზიური განათლება.
საგნობრივი კურიკულუმები და არაფორმალური განათლების აქტივობები ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში მიმდინარე პროგრამები, პროექტები და პროფესიული განათლების აქტივობები, სასკოლო რეგულაციები და რესურსები- ხელს უწყობს მოსწავლის უფლებებისა და ღირსების დაცვას, მრავალფეროვნების დაფასებას და სასწავლო პროცესის ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომობას, დემოკრატიის პრიციპების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სასკოლო გეგმის ნაწილს. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლა უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას (იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა)
- სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი.

იხ. სასკოლო სასწავლო გეგმა